

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს „ენმარი“ ს/კ 245609863

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს „ენმარი“ ს/კ 245609863				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წ				
პერიოდი	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	39874	31642	23960	
საფაქრო მოთხოვნები	588952	546966	368559	
გადახდილი ავანსები დადარიცხული მისაღები შემოსავალი	1393	153		
მარაგები	587536	710715	280552	
- მზა პროდუქცია				
სხვა	587536	710715	280552	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	2676	32186	15770	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0	
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2115	2617	2784	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				

ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0	
სულ აქტივები	1222546	1324279	691625	
	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018	
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	460506	861435	77200	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები		15582	27052	
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
გამოუმუშავებელი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	559036	251241	405682	
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები	2722	1340		
სულ ვალდებულებები	1022264	1129598	509934	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალი, კოოპერატივის შემთხვევაში საპაიო კაპიტალი)	200	200	200	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	200082	194481	181491	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	200282	194681	181691	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1222546	1324279	691625	
სულ მოკლევადიანი აქტივები	1120431	1251662	588841	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	463228	878357	105252	

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება		
	2020 წ	2019 წ
ნეტო ამონაგები	3380224	3310624
- საქონლის გაყიდვიდან	3380224	3310004
- მომსახურების გაწევიდან		620
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-3021140	-3081003
- საწყისი მარაგები	-710715	-280553
- მარაგების შესყიდვა	-2897961	-3511165
გადამუშავების დანახარჯები		
- საბოლოო მარაგები	587536	710715
საერთო მოგება	359084	
სხვა შემოსავალი	5456	3473
დასაქმებულთა ანაზღაურება	-57066	-61180
ცვეთა/ამორტიზაცია	-502	-921
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-27251	-26609
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-203532	-84335
სულ საოპერაციო ხარჯები	-282895	-169572
საოპერაციო მოგება	76189	-169572
გაუფასურების ხარჯი (რევერსირება)		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი(ხარჯი)		
მოგება/ ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	76189	60049
მოგების გადასახადი	-10588	-7059
მოგება/ ზარალი	65601	52990
სხვა სრული შემოსავალი(ზარალი)		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი(ზარალი) სულ		
მთლიანი სრული შემოსავალი(ზარალი)	65601	52990
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	194681	181691
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალის გაზრდა)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-60000	-40000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	200282	194681

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2020	2019
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	3619692	3508528
ავანსად მიღებული თანხები		
სხვა		
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	3619692	3508528
საოპერაციო ხარჯები:		
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	- 3464714	- 3052120
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	- 39252,00	- -48232
გადახდილი გადასახადები	-248725	-154294
სხვა		-220
საოპერაციო საქმიანობიდან გასული ფულადი სახსრები	- 3752691	- 3254866
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-132999	253662
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა ძირითადი საშუალებების შეძენაზე		-890
ფულადი სახსრების შემოსვლა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		
მიღებული დივიდენდები		
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	0	-890
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
სავალუტო გადაფასების შემოსავალი		134
სავალუტო გადაფასების ხარჯი	-2948	0
სესხის მიღება	538221	
სესხის ძირის დაფარვა	-309791	-180615
სესხის პროცენტის დაფარვა	-27251	-26609
გაცემული დივიდენდი	-57000	-38000
საკუთარი კაპიტალის ცვლილება		
ნეტო ფულადი ფულადი სახსრები ფინანსური ოპერაციებიდან	141231	-245090
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	8232	7682
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	31642	23960
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	39874	31642

შპს „ენმარი“ ს/ნ 245609863
 კაპიტალის მოძრაობა 2020 წლის
 დასრულებული პერიოდისათვის

დასახელება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	ს უ ლ კაპიტალი
ნაშთი 31/12/2019 წ.	200	194481	194681
2020 წლის მოგება/ზარალი		76189	76189
გაცემული დივიდენდი		-60000	-60000
მოგების გადასახადი		-10588	-10582
ნაშთი 31/12/2020წ	200	200082	200282

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და
 განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ენმარი“ ს/კ 245609863 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 11/01/2008 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართი ბათუმი ლეონიძის N27 საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ბათუმი ლეონიძის N27 საწარმო დაფუძნებული და 100% წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ენვერ გოგოლიშვილი (პ/ნ 61007000464)

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა არასპეციალიზებული საბითუმო ვაწრობა. (სარეცხი საწმენდი საშუალებები, ბავშვის ჰიგიენური საფენები და სხვა.)

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2020 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით. საწარმოს გააჩნია სს „ხალიკ ბანკიდან“ აღებული სესხი, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარზე გადაანგარიშებით შეადგენს 559036 ლარს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|--------------------------|-----|
| ✓ სატვირთო ავტომანქანა | 10% |
| ✓ ავეჯი და მოწყობილობები | 10% |

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შპს „ენმარი“-ს დირექტორი:
ენვერ გოგოლიშვილი

